

განცხადება

**ბავშვთა სამედიცინო მომსახურების 2010 წლის სახელმწიფო პროგრამაში  
მონაწილეობის მსურველ პირთათვის**

ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო (ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი №144) აცნობებს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 5 ივლისის №199/ნ ბრძანებით დამტკიცებულია ბავშვთა სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამა.

2. ზემოაღნიშნული ბრძანების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, **3 წლამდე ასაკის ბავშვთა სტაციონარული დახმარების, 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ანტირაბიული სამედიცინო დახმარებისა (ანტირაბიული საშუალებების გარეშე) და 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ონკოლოგიურ (მ. შ. ნეიროონკოლოგიურ) დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის კომპონენტებით გათვალისწინებულ მომსახურებას განახორციელებს შესაბამისი ლიცენზიის მფლობელი სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის მსურველი ყველა სამედიცინო დაწესებულება.**

პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი მომსახურების განხორციელება:

- ა) 3 წლამდე ასაკის ბავშვთა სტაციონარული დახმარება;
- ბ) 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ანტირაბიული სამედიცინო დახმარება (ანტირაბიული საშუალებების გარეშე);
- გ) 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ონკოლოგიურ (მ. შ. ნეიროონკოლოგიურ) დაავადებათა დიაგნოსტიკა და მკურნალობა.

3. მომსახურების გაწევის ვადაა 2010 წლის 20 აგვისტოდან 2010 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. ბავშვთა სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ზემოთ ნახსენებ კომპონენტებში მონაწილეობის მსურველმა სამედიცინო დაწესებულებებმა გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართებზე:

- ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი №144, მე-3 სართული, ოთახი №301;
- ქ. თელავი, ქეთევან წამებულის ქ. №1;
- ქ. რუსთავი, ვახუშტის ქ. №8;
- ქ. მცხეთა, მირიანის ქ. №34;
- ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. №105;
- ქ. ახალციხე, კეცხოველის ქ. №6;
- ქ. ქუთაისი, ნინოშვილის ქ. №61;
- ქ. ოზურგეთი, ჟღენტის ქ. №6;
- ქ. ბათუმი, გორგასილს ქ. №41;
- ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №93;
- ქ. ამბროლაური, ბრატისლავა-რაჭის ქ. №7.

5. დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) წერილობითი განაცხადი ბავშვთა სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის მიღების სურვილის თაობაზე. **განაცხადში მითითებული უნდა**

იყოს, თუ კონკრეტულად რომელ ღონისძიებას (ღონისძიებებს) განახორციელებს პროგრამაში მონაწილეობის მსურველი პირი;

ბ) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები);

გ) სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

დ) დაწესებულების სალიცენზიო მოწმობა და/ან ცნობა იმის თაობაზე, რომ დოკუმენტაცია კონკრეტული საქმიანობების მიხედვით შესაბამისობაშია მოყვანილი მოქმედ კანონმდებლობასთან.

7. ყველა დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იქნას ორ ეგზემპლარად – ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, ხოლო მე-2 ეგზემპლარი – ქსეროასლის სახით.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ალექსანდრე მამალაძე, ლალი დევძე, გულსუნდა ონიანი ტელ.: 144983, მისამართზე: ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი №144, მესამე სართული, ოთახი №301.